პროლეტარებო, ყველანი ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 153 (9621) | ოთხშაბათი, 1 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

**სახელმწიფო გეგმა კანონია — მოწინავე** (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
კომბაინერთა სიტყვა და საქმე (1-ლი გვერდი).
**პარტიული ცხოვრება.** — სწავლისა და შრომის ბოყვარულნი. პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარები (მე-2 გვერდი).
**ფ. კონსტანტინოვი.** — ხალხი ისტორიის შემოქმედია (მე-2 და მე-3 გვერდი).
საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გაფგეობის პლენუმი (მე-2 გვერდი).
**შ. ჰოჰუა.** — მოსავლის აღების [illegible] (მე-3 გვერდი).
საბალხო დემოკრატიის ქვეყნებში [illegible] (მე-4 გვერდი).
დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა გმობს ფაშისტ პროვოკატორებს (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
თბილისი (მე-4 გვერდი).

# სახელმწიფო გეგმა კანონია

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები ენერგიულად იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებლად, საბჭოთა სამშობლოს ძლევამოსილების შემდგომ განსამტკიცებლად და ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის მრეწველობის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები წარმატებებით ეგებებიან სამეურნეო წლის მეორე ნახევრის დასაწყისს, ვადამდე გაანაღდეს ექვსი თვის გეგმები, ავლენენ წარმოების შინაგან, ჯერ გამოუყენებელ რეზერვებს, ამთავითვე ქმნიან ყველა საჭირო პირობას წლიური საწარმოო დავალებების ვადამდე შესასრულებლად. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი 13 ივნისის შემდეგ მადანს იძლევა წლის მეორე ნახევრის ანგარიშში, ხოლო მთლიანად ტრესტმა ნახევარი წლის გეგმა ვადაზე რვა დღით ადრე გაანაღდა. საქართველოს გუმბრინის კოლექტივმა, აგრეთვე ბარიტისა და სხვა არამადნეული წიაღისეულის მომპოვებლებმა ექვსი თვის გეგმები 20 ივნისისათვის გაანაღდეს და გეგმის გადამეტებით უკვე საგრძნობი რაოდენობით მოგვაცეს პროდუქცია. წარმატებით მუშაობენ ტყვარჩელის, ტყიბულის და ახალციხის მთელი რიგი შახტები. კარგი მაჩვენებლები აქვთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებაში თბილისის ახალი ენერგეტიკული ბაზის — ორთაჭალჰესის მშენებლებს, ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა თბილისის მაკარონის ფაბრიკის კოლექტივმა და ა. შ.

მაგრამ ამ მოწინავე საწარმოთა გვერდით არიან ჩამორჩენილნი, ისეთი საწარმოები, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ სისტემატურად მთელი თვეების განმავლობაში. ასეთი საწარმოებია მეტეხის, ზუგდიდის და ხაშურის აგურის ქარხნები, თბილისის მეშვიდე საძეკერვალო ფაბრიკა, ახალციხე-ქვანახშირის მეორე შახტი, ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტი და სხვ. ჩამორჩენის მიზეზი ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების არაკონკრეტული, ზოგადი ხელმძღვანელობაა, რასაც დროა მოეღოს ბოლო.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის მუშაობის გულდასმითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვანახშირის მოპოვების მკვეთრად შემცირება და ჩამორჩენა გამოიწვია ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მხრივ შახტის ყოველდღიური მუშაობისადმი თვალყურის დევნების შესუსტებამ, მეშახტეთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შენელებამ, ამ საქმისადმი, როგორც საშახტო პარტიული ორგანიზაციის, ისე რაიონული კომიტეტის მხრივ ყურადღების მოდუნებამ.

დღითიდღე ძლიერდება და ფართოვდება მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებისათვის როგორც მრეწველობის ყველა დარგის საწარმოებში, ისე ტრანსპორტზე. ჩვენი მეშახტეები და მეტალურგები ეჯიბრებიან მომმე რეპუბლიკების — უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის მეშახტეებსა და მეტალურგებს, მაღაროელები — მაღაროელებს, ფეიქრები—ფეიქრებს და მებამბეებს, რკინიგზელები—რკინიგზელებს.

მეშახტეების, მეტალურგების, რკინიგზელების, ფეიქრების, მაღაროელებისა და ყველა სხვა პროფესიის ხაზით გამართული სარესპუბლიკათაშორისო სოციალისტური შეჯიბრების წარმატება, ისევე როგორც ცალკე საწარმოთა კოლექტივებს შორის მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებისათვის შეჯიბრების წარმატება, საგანგებო დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უხელმძღვანელებენ მას ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ჩვენი ამოცანაა შევუქმნათ საწარმოთა კოლექტივებს მაღალნაყოფიერი შრომის პირობები, არ დავუშვათ ტემპის შენელება. უზრუნველვყოთ საწარმოს თანდათან მზარდი რიტმული მუშაობა, შეჯიბრებაში ჩავაბათ კოლექტივის უკლებლივ ყველა წევრი და აღმოვფხვრათ ამ საქმეში ფორმალიზმის ყოველგვარი ნასახი.

საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების პირნათლად განაღდებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მანქანა-დანადგართა სრული სიმძლავრით გამოყენება. ამ მხრივ ჩვენს საწარმოებს დიდი შესაძლებლობანი აქვთ. ცნობილია, რომ მანქანა-დანადგართა მეტი ეფექტით გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექნიკური გაუმართაობის გამო გაცდენების ლიკვიდაციას, ხოლო ეს დამოკიდებულია მანქანა-დანადგართა სწორ ტექნიკურ ექსპლოატაციაზე, მოვლა-პატრონობისა და პროფილაქტიკური რემონტის ხარისხზე, მორიგე მექანიკოსთა უნაკლო მუშაობაზე.

ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში მანქანა-დანადგართა სრული სიმძლავრით გამოყენება მოგვარებული არ არის. დიდია ტექნიკური მიზეზებით დანადგართა გაცდენის პროცენტი ფეხსაცმლის ფაბრიკებში, აგრეთვე ზოგ ლითონდასამუშავებელ საწარმოში. მეტეხის აგურის ქარხანაში წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ნედლი აგურის დასაყალიბებელი აგრეგატები, მათი შეკეთების ცუდი ხარისხის გამო, 1.572 სამუშაო საათს მოცდნენ. რამდენიმე თვეა ამავე ქარხანაში არ მუშაობს ალიზის საშრობი დანადგარი. თბილისის ლოკომოტივსარემონტო ქარხანაში, რომელმაც ბოლო თვეებში მუშაობა გააუმჯობესა და ჩამორჩენას თავი დაალწია, ზოგ სამქროში მანქანა-დანადგართა გამოყენების კოეფიციენტი ჯერ კიდევ დაბალია, ირღვევა გრაფიკი.

ბევრ ჩვენს საწარმოში მოუწესრიგებელია ტექნიკური დანორმვა. ჯერ კიდევ ჭარბობს შემცირებული ნორმების, ეგრეთწოდებული საცდელ-სტატისტიკური ნორმების გამოყენება, რაც აღარ შეესაბამება ტექნიკის დღეანდელ დონეს, ნაკლებად იძლევა შრომის ნაყოფიერების გადიდების სტიმულს. მაგალითად, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ამჟამად მოქმედი ნორმების 50 პროცენტზე მეტს საცდელ-სტატისტიკური ნორმები შეადგენდა. ამის ახსნა იმით, რომ ქარხანაში წელს რამდენიმე ახალი სახის პროდუქციის გამოშვება აითვისეს და ამიტომ სათანადო გამოცდილება ჯერ კიდევ არა აქვთ შეძენილი რათა ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები შეიმუშაონ, როგორც ამას ამტკიცებენ ქარხანაში, — მართებული არ არის. ასეთსავე პროდუქციას ხომ საბჭოთა კავშირის სხვა ქარხნებიც ამზადებენ. რატომ არ შეიძლება მათი გამოცდილებით ვისარგებლოთ და იქ შემუშავებული ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით გამოვიყენოთ?!

მრეწველობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის მისაღწევად საჭიროა საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები ღრმად ჩასწვდნენ თავიანთი წარმოების სპეციფიკას, დაეუფლონ ხელმძღვანელობის ოსტატობას, შეუნელებლივ ადევნონ თვალყური ცალკე საწარმოო უბანთა მუშაობას და შეფერხების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. საჭიროა ისინი ზრუნავდნენ გეგმის შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ყველა გარემოების გათვალისწინებით.

ყველა ღონისძიებით შევუწყოთ ხელი შრომის ნაყოფიერების გადიდებას, არ დავივიწყოთ, რომ ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ზრუნვა მთავარია სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომ **სახელმწიფო გეგმა კანონია** და ყველა საწარმო მოვალეა ასრულებდეს მას არა მარტო საერთო პროდუქციის მოცულობის მიხედვით, არამედ აუცილებლად ყველა ნაკეთობის მიხედვითაც.

## ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა ნახევარი წლის დავალება შეასრულა

ტყვარჩელი, 29 ივნისი. (საქდესი). ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მაღაროელებმა ვადამდე — 25 ივნისს შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა. ქვანახშირის ამოღება გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 9,7 პროცენტით გადიდდა.

მაღალ მაჩვენებლებს აღწევს № 5 შახტი. ამ შახტის პირველი უბანი იყენებს ძლავრ ტექნიკას — ბულდოზერებს, ექსკავატორებს და გეგმის გადამეტებით უკვე ამოიღო 10 ეშელონი სათბობი.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი ქვანახშირს ნოემბრის ანგარიშში იღებს. აქ კარგად ხმარობენ ქვანახშირის კომბაინ „დონბასს“, რომლის წარმადობა აყვანილია 8 ათას ტონამდე თვეში.

# ჩვენს დიად სამშობლოში

## წლიური ვალდებულება ექვს თვეში

კიზელი, 29 ივნისი. (საკდესი). ლენინის სახელობის კიზელის ქვანახშირის აუზის მოწინავე შახტის მაღაროელებმა წლის დამდეგიდან ამოიღეს 50 ეშელონი ზეგეგმითი სათბობი და თავიანთი წლიური ვალდებულება შეასრულეს ვადამდე — ექვს თვეში.

წარმატება მიღწეულია ლავების გადაყვანით ციკლური გრაფიკით მუშაობაზე, ქვანახშირის ამოღების პროცესების შემდგომი მექანიზაციით, საყელავი მანქანებისა და მიწისქვეშა ელმავლების წარმადობის გადიდებით. ახლა შახტში დღე-ღამეში ერთი ციკლი გრაფიკით მუშაობს შვიდი ლავი.

ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა წლის დამდეგიდან ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებით დაზოგა 750 ათასი მანეთი.

## მატულობს ჰურჭლის გამოშვება

ფაიფურისა და ქაშანური ჰურჭლის ასზე მეტი ახალი ნიმუში აითვისეს მიმდინარე წლის დამდეგიდან რუსეთის სფსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა. მათს ასორტიმენტს შეადგენს ჩაისა და ყავის ოქროთი და კობალტით მოხატული სერვიზები, ბავშვთა სასადილო გარნიტურები, სასადილო სერვიზები და სხვ.

ჰურჭელზე მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის შენდება ახალი და ფართოვდება მოქმედი საწარმოები. ქარხნებში დგამენ კონვეიერებს ფაიფურზე ნახატის მექანიკური გადაყვანისათვის, სხვადასხვა ჰურჭლის გამოსაყვან ავტომატებსა და ნახევარავტომატებს.

ახლა მიმდინარეობს საწარმოთა სპეციალიზაცია რომელიმე განსაზღვრული სახის ნაკეთობის გამოსაშვებად. ეს ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

წლის დამლევისათვის რუსეთის სფსრ ადგილობრივი მრეწველობის ფაიფურის ქარხნები გამოუშვებენ თითქმის 5 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების ნაკეთობას, ვიდრე შარშან. (საკდესი).

## აზერბაიჯანის მეცნიერთა ექსპედიციები ზაფხულში

ბაქო, (საკდესი). გუშინ ბაქოდან მცირე კავკასიონის მთებში გაემგზავრა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგთა ექსპედიციების ერთ-ერთი რაზმი. სულ გაემგზავრება 16 ასეთი რაზმი.

აკადემიის ექსპედიციათა რაზმებში მონაწილეობს ასობით მეცნიერი. გაზაფხულზე მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლებმა ჩაკეტეს მტკვრის წყალი, და მდინარემ შექმნა უზარმაზარი წყალსაცავი — მინგეჩაურის ზღვა. გეოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალური ექსპედიცია ახლა სწავლობს, თუ რა გავლენას იქონიებს ეს დიდი წყალსაცავი ახლო მდებარე გეოლოგიური ადგილის ჰავაზე. ჰიდროლოგები იკვლევენ დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთების მდინარეთა რეჟიმს, რათა გამოიყენონ მათი ენერგეტიკული რესურსები, აგრეთვე წყლის მარაგი მორწყვისათვის.

ერთ-ერთი ექსპედიცია მცირე კავკასიონის რაიონებში აგროვებს ხორბლისა და ველურ მარცვლოვანთა ნიმუშებს. მთისპირა რაიონებში მეცნიერები იკვლევენ მიკროსასუქების გავლენას ხორბლის მოსავალზე. შირვანის ველის ბამბის რაიონებში ნიადაგმცოდნენი ამუშავებენ დამლაშებული და დაჭაობებული მიწების ბამბისათვის ათვისების ტექნიკას.

სტალინოს ოლქი. ახალი საცხოვრებელი სახლები მეტალურგებისათვის ქ. მაკეევკაში.
ფოტო ს. გენდელმანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## მოსკოვის ყვავილნარები

ხშირი ფოთლებით შეიმოსა ცაცხვები მოსკოვის ქუჩებსა და მოედნებზე. მწვანე ხამოსით მოირთო ბულვარებისა და სკვერების ხეივნები.

დედაქალაქის მშრომელები მწვანით რთავენ თავისუფალი მიწის ყოველ ნაკვეთს ეზოებში, ქარხნებისა და ფაბრიკების ტერიტორიებზე. ყვავილები გამოჩნდა სახლების აივნებზე და ფანჯრებში. გაზაფხულზე ქალაქის ორანჟერიებმა გამოიყვანეს დაახლოებით 20 მილიონი ყვავილის ჩითილი.

კრემლის ძველ კედლებთან გადაქმნილა ჩრდილიანი ალექსანდრეს ბაღი-ქალაქის ერთ-ერთი საუცხოო კუთხე. მის ცენტრალურ ნაწილში გაშენებულია ლამაზი ყვავილნარები. აქ განსაკუთრებით ახარებს თვალს საბჭოთა ხელოვნიერების მიერ გამოყვანილი ვარდები.

ათასობით ვარდია დარგული რევოლუციის მოედანზე, კომუნის მოედანზე, საბჭოთა მოედანზე და პირველმაბეჭდავი ივანე ფედოროვის ძეგლთან.

მდიდარია სკვერის ყვავილის სამოსელი პუშკინის მოედანზე. იგი ჰარმონიულად უერთდება ცაცხვების ხშირ მწვანეს.

დედაქალაქის ყველაზე დიდი ყვავილნარი ამშვენებს ძერჟინსკის მოედანს. მისი გიგანტური თაიგული, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში განახლდება, 66 ათასი ყვავილისაგან შედგება. ამ თაიგულში არის კანი ლამაზი ფოთლებითა და ფერადი ყვავილებით, სინერარია ვერცხლისფერი ფოთლებით, მუდამ აყვავილებული ბეგონია, ანტირინუმი, რომელსაც შინაურულად „ლომის ხახას“ ეძახიან, უპრეტენზიო ხავერდულა (ტაგეტესი), ფლოქსი, გეორგინა, სურნელოვანი ალისუმი, მწვანე კრხია და სხვ.

ტულიპისა და პოლიანტის ვარდის ხალიჩები გაფენილა ახალ სკვერში ბოლოტნი მოედანზე. ახლა ეს მოსკოველებს ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილია.

დაახლოებით ოთხ ჰექტარს აღწევს ყვავილნარების ფართობი მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. ორ მილიონამდე სხვადასხვა ყვავილი ირგვება მის ვრცელ ტერიტორიაზე. პარკის შესახვლელთან ყირიმის ხიდის მხრიდან ყვავილებით ფერწერული ოსტატი ა. ნ. ბელიაევი ქმნის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის პორტრეტს. 30 ათასზე მეტი მცენარე დასჭირდება მხატვარს პორტრეტის შესრულებისათვის. მის არაჩვეულებრივ პალიტრაში სულ სხვადასხვა ფერის ყვავილებია.

პარკში მხატვრულად გაფორმებულია მრავალი ყვავილნარი. გაშლილან თოვლივით თეთრი, ვარდისფერი და მოშავწითელო პეონები. მაღალ ისრებზე ლურჯად მოჩანან თეთრული იის თავები. ნაზი არომატით ავსებს ჰაერს მათიოლა. განსაკუთრებით ლამაზია ბუსუსებიანი ყაყაჩოს, შროშანას და ხანჭკოლის ჯგუფები. ისინი პატარა კუნძულებივით გამოერჩევიან ფართო მწვანეზე.

პარკის ფანჩატურებს პირველად შემოევლება ულვაშებიანი სვია. მომსვლელები ნახავენ სამხრეთის „სტუმრებს“ — არალიას, კამელიას, დაფნას, პალმას და სხვ.

ბევრი ყვავილია დედაქალაქის დანარჩენ 23 პარკშიც. წარსული წლებისაგან განსხვავებით, ყვავილებს რგავენ დიდ მასივებად, რომელთაც უფრო წარმტაცი სახე აქვთ. განსაკუთრებით ლამაზად არის გაფორმებული ვეებერთელა პარტერი მოსკოვის უნივერსიტეტის მაღალი შენობის წინ ლენინის გორაზე. აქ დარგულია დაახლოებით 280 ათასი ყვავილი. დიდი სამუშაოები წარმოებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ ბოტანიკურ ბაღში, სადაც შეგროვდება ყველა კონტინენტის მცენარეები.

მოსკოვში ახლა თითქმის არ არსებობს ისეთი საწარმო, რომლის ტერიტორიაზეც არ იყოს ყვავილნარები. სამართლიანად ატარებს „ქარხანა-ბაღის“ სახელს მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხანა „კალიბრი“. მისი ტერიტორია მწვანეშია ჩაფლული. საამქროების შესახვლელთან გაშენებულია ყვავილნარები. ყვავილებმა ქარხნის შენობებშიც შეაღწია. სასადილოში, ლაბორატორიებში, საამქროთა მალებში და მიკრომეტრების ამწყობი კონვეიერის გასწვრივაც კი დადგმულია მარადმწვანე პალმები, ტუია, ოლეანდერი, ფურისუნა, ოთახის ვაზი და სხვ.

ყვავილები ამშვენებს სტალინის სახელობის ქარხნის, ქარხანა „ფრეზერის“, სატრანსფორმატორო და სხვა ქარხნების ტერიტორიებს. მოსკოვის საწარმოებში გაჩნდა ახალი თანამდებობა — მებაღე.

მოსკოველთა შორის ათასობით მოხალისე მეყვავილეა, რომლებიც დასვენების საათებს მცენარეთა მოყვანას ახმარენ. (საკდესი).

## მოსკოვი

„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან

### ლენინგრადის ბალეტის ახალგაზრდა მსახიობთა წარმატება

დედაქალაქის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა ლენინგრადის ბალეტის ახალგაზრდა მსახიობთა გამოსვლებს. „ვეჩერნაია მოსკვაში“ დაიბეჭდა სტალინური პრემიის ლაურეატის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. კრიგერის რეცენზია, რომელშიც დაწვრილებით გარჩეულია ლენინგრადის ბალეტის მსახიობთა, კერძოდ ახალგაზრდა მსახიობთა კონცერტები.

თავის სტატიაში კრიგერი წერს: „...მოსკოველებისათვის სასიხარულო „საჩუქარი“ იყო ახალგაზრდების კონცერტში საბჭოთა ქორეოგრაფიის შესანიშნავი ოსტატის ნ. დუბინსკაის გამოსვლა. მან შეასრულა ფრაგმენტი ბალეტიდან „ბაიადერკა“. მსახიობმა ამჯერადაც განაცვიფრა მაყურებელი თავისი ვირტუოზული ტექნიკით. საუკეთესოდ ცეკვავს მისი პარტნიორი ბ. ბრეგვაძეც“.

### ი. თარგას ლექსების გამოცემა

აფხაზმა პოეტმა ი. თარბამ, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, თქვენს კორესპონდენტს აცნობა, რომ ალმანახმა „დრეფა ნაროდოვ“ დასაბეჭდად მიიღო მისი ლექსების ციკლი სუხუმის რაიონის სოფელ გუმისთას რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრ, წარჩინებულ მევენახე, სოციალისტური შრომის გმირ ი. მირცხულავაზე.

ამჟამად ი. თარბა ამთავრებს ლექსების წიგნს, რომელსაც გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელ“ გამოუშვებს. ამ წიგნში შევა ლექსები მოსკოვზე, ხალხთა მეგობრობაზე, საქართველოზე, აფხაზეთზე და სხვ. ლექსებს რუსულად თარგმნიან პოეტები ნ. ზაბოლოცკი, ა. მეკეროვი, ო. კრანგაუზი, ნ. გრებნევი, ი. გორდიენკო და სხვ.

### ახალი ცნობარი

მოსკოვში იბეჭდება მრავალი ცნობარი სულ სხვადასხვა დარგში. ამჟამად გამოსაშვებად მზადდება ახალი საინტერესო ცნობარი დედაქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე.

ახალ ცნობარში, რომლის გამოცემა დავალებული აქვს „მოსგორსპრავკას“, იქნება იქ საწარმო-დაწესებულებათა მისამართები, რომელთა დანიშნულებაა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ცნობარში ადვილად ეიპოვნით შემნახველი სალაროების, თეატრების, კულტურის სასახლეების, კულტურისა და დასვენების პარკების, მატარებლის ბილეთების წინასწარ გაყიდვის სალაროების, გამოფენების, მუზეუმების, სტადიონების და სხვ. მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს. აქვე იქნება სამკურნალო დაწესებულებების, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების, მაღაზიებისა და სხვ. მისამართები.

### დედაქალაქის ქრონიკა

⊙ **მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე** მაყურებელთა მომსახურებისათვის გახსნილია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

⊙ **მილიონნახევარზე მეტი მგზავრი** გადაჰყავთ დღეში დედაქალაქის ტროლეიბუსებს. განსაკუთრებით გაიზარდა მძღრობა ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით.

⊙ **დღის სინათლის ასი ათასზე მეტი ნათურა** მოწყობილია დედაქალაქის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში.

⊙ **საბავშვო წიგნის** მოსკოვის ფაბრიკა დღეში უშვებს 165.000 ცალ წიგნს.

# კომბაინერთა სიტყვა და საქმე

მოსავლის აღება

## კოლმეურნეები თავიანთ ნაამაგარს შეჰხარიან

ლაგოდეხი. რაიონში დღითიდღე ძლიერდება მოსავლის აღება, — განაცხადა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მირიანაშვილმა, — 30 ივნისისათვის კოლმეურნეობებს აღებული ჰქონდათ 3.000 ჰექტარზე მეტი პურეული. საკოლმეურნეო მინდვრებზე 45 მძლავრი კომბაინი მუშაობს.

კარგად მოაწყო მკა და პურის ჩაბარება სოფელ ჩადუნიანის კოლმეურნეობამ. ამ კოლმეურნეობის მინდვრებზე ლაგოდეხის მტს-ის კომბაინერი ჭაბაშვილი კომბაინ „სტალინეც-6“-ით ყოველდღიურად 12 ჰექტარს მკის და ჰექტარზე 23 ცენტნერ პურს ლეწავს. ჩადუნიანელმა კოლმეურნეებმა უკვე მოიხადეს პურის ჩაბარების სახელმწიფო ვალდებულება.

დიდი საწარმოო გამოცდილება აქვს აფენის მტს-ის კომბაინერ ჭუმბურიძეს. ამ გამოცდილებას იგი ახლა წარმატებით იყენებს სოფელ არეშფერანის კოლმეურნეობა „ზარია ვოსტოკას“ ზღვასავით გაშლილ ყანებში. სულ რამდენიმე დღის განმავლობაში კომბაინერმა, რომელიც ლაგოდეხის მტს-ის კომბაინერ ჭაბაშვილს ეჯიბრება, მოსავალი 150 ჰექტარზე აიღო.

სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა შემოქმედებითი თანამეგობრობით ბარაქიანი მოსავალი მოიყვანეს. მემინდვრეობის ბრიგადირის ი. ნატროშვილის ნაკვეთებზე საშუალოდ ჰექტარზე 28 ცენტნერ პურს იღებენ. კომბაინერ ფ. რიჟამაძეს დიდი საზრუნავი გაუჩნდა: სქელი, უხვმოსავლიანი პურის აღება მექანიზატორისაგან დიდ სიფრთხილესა და გონივრულ მუშაობას მოითხოვს. ამ ამოცანას იგი ჩინებულად ასრულებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ საქმეში ფართოდ ვიყენებთ მოზარდთა და მოხუცთა შრომას. აკრეფილია რამდენიმე ათეული ტონა თავთავი.

მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესმა კოლმეურნეობებმა დაიწყეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება, რაიონში ეს საქმე მაინც არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ეს იმითაც აიხსნება, რომ ზოგან ლეწვა და მარცვლის გაშრობა ჭიანურდება.

რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ამ დღეებში სპეციალურად განიხილეს კოლმეურნეობებში მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების მიმდინარეობის საკითხი. დასახულია სათანადო ღონისძიებანი, რომელთა განუხრელად შესრულება უზრუნველყოფს აღნიშნულ სამუშაოთა გადაჭრით დაჩქარებას.

## ენისლელი კომბაინერები

ყვარელი. („კომუნისტის“ კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებში გაცხარებული მუშაობაა. ყვარლისა და ენისლის მტს-ების 40 კომბაინი მინდვრად არის გასული.

მდინარე ჩელთის მარცხენა ნაპირიდან ორი კილომეტრის დაშორებით ოქროსფრად მოელვარე ყანები შილდის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის. მისი ფართობი 1.170 ჰექტარს აღემატება. ბარაქიან მინდვრებში ენისლის მტს-ის სამი კომბაინი მუშაობს. მათგან ერთს ნ. მეტრეველი მართავს. მან „სტალინეც-6“-ით 600 ჰექტარის მომკა იკისრა და სოციალისტურ შეჯიბრებაში თელაველ კომბაინერ ლ. შიუკაშვილთან ჩაება.

კომბაინერი ნ. მეტრეველი შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას შეუდგა. პირველ დღეს გეგმის გადამეტებით 6 ჰექტარი მომკა, მეორე დღეს — 8 ჰექტარი. მესამე დღეს გეგმა ორმაგად შეასრულა. მის აგრეგატზე მიმაგრებული ავტომანქანის მძღოლი დ. ციხკარიშვილი ბუნკერიდან გადმოტვირთული ხორბლის საშრობზე მიტანას ძლივს ასწრებს.

ნ. კურდღელაშვილი ყვარლის მტს-ის კომბაინერ ა. ქელეხსაშვილს ეჯიბრება. მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 600 ჰექტარის აღება იკისრა, გეგმა კი 280 ჰექტარს ითვალისწინებს. კურდღელაშვილი პირველ სამ დღეს დღეში 15-18 ჰექტარს მკიდა. ახლა კი 20 ჰექტარსაც აჭარბებს.

კომბაინერები ნ. მეტრეველი და ნ. კურდღელაშვილი წარმატებას იმით აღწევენ, რომ მათ ფართოდ დანერგეს საათობრივი გრაფიკით მუშაობა. დილით ყანა ტენიანია, ამიტომ მუშაობას 8 საათზე იწყებენ და 4 საათამდე აგრეგატს არ აჩერებენ. ერთ საათს კომბაინის გასინჯვას, გაწმენდას ანდომებენ, შემდეგ კი ღამის პირველ საათამდე მკიან. მანქანის შეჩერებისთანავე კომბაინერი, ტრაქტორისტი, მეშტურვალე, დამხმარეებიც კი კომბაინის ტექნიკურ მოვლას იწყებენ, თითქმის არც ერთ ნაწილს უყურადღებოდ არ ტოვებენ.

კომბაინერები ბუნკერიდან ხორბლის გადმოტვირთვისა და საწვავის ჩასხმისათვის აგრეგატებს არ აჩერებენ. ამ საქმეს თვით სვლის დროს ასრულებენ.

სამწუხაროდ ენისლელ მექანიზატორთა შორის პირველ დღეებში ცუდად მომუშავენიც აღმოჩნდნენ. მ. ჭუნაშვილს 3-4 ჰექტარიც არ ჰქონდა მომკილი, რომ „კომუნარის“ კარბურატორი დაუზიანდა. ამის გამო 5 საათს გაცდა. შილდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში „კომუნარი“, რომელსაც ლ. ზუბიტაშვილი მართავს, მარცვალს აბნევს. ამავე კოლმეურნეობის ყანებში თვითმავალი კომბაინი დიდი შეფერხებით მკის.

ენისლის მტს-ის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მოწინავე კომბაინერთა გამოცდილება ყველას კუთვნილებად უნდა გახადონ.

*პარტიული ცხოვრება*

# სწავლისა და შრომის მოყვარულნი

**წერილი ამბროლაურის რაიონიდან**

რიონის ხეობიდან მთას საურმე გზა აუყვება, ვაკეზე ჯერ სწორად მიდის, შემდეგ იკლაკნება, სულ მაღლა და მაღლა მ

# მოსავლის აღების პირველი დღეები

## გარაჟალა მათ!

გათენებისას სოფელ საქობოს შარაგზაზე ხმაური იწყება. მთელი სოფელი იღვიძებს. კოლმეურნენი მინდვრებისაკენ მიეშურებიან. მეოთხე ბრიგადის (ხელმძღვანელი ს. კაკაშვილი) ოქროსფრად მოლივლივე ყანებში მანქანის გუგუნი ისმის. პურეულის ზღვას მოაპობს კომბაინი, რომელსაც მარჯვედ მართავს კომბაინერი ლ. გურაშვილი. მემინდვრეობის ბრიგადირი ხან კომბაინით აღებულ ნაკვეთს ათვალიერებს, ხან თავთავების ამკრეფთან გაჩნდება, ხშირად სინჯავს მიწას, მაგრამ დაბნეულ მარცვალს ვერ ნახულობს. კომბაინერმა პირველ ორ დღეს 50 ჰექტარი მომკა და თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი ხორბალი გალეწა.

ბარაქიანი მოსავლით აღფრთოვანებული კოლმეურნეები და მექანიზატორები დღედაღამ საკოლმეურნეო მინდორში არიან, სწრაფად და უდანაკარგოდ იღებენ პურეულს. კომბაინერი ლ. გურაშვილი ყველაზე მოწინავეა ჭნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. 7 სამუშაო დღეში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მან 140 ჰექტარი პურეული მომკა. მის კომბაინზე მტსის გარდამავალი წითელი დროშა ფრიალებს.

ლ. გურაშვილმა კომბაინერთა შეჯიბრებაში ჩაბმისას პირობა დადო წელს მოსავალი აიღოს 500 ჰექტარზე. პირველი დღეებიდანვე შეუდგა სიტყვის შესრულებას. გაუსწრო კომბაინერ ი. პაელიაშვილს, რომელსაც ეჯიბრება, ყოველდღიურად მკის 25 ჰექტარს. წარმატებაში წვლილი მიუძღვით აგრეთვე მეშტურვალე ლ. ჯოხარაძეს, ტრაქტორისტ დ. იასაშვილს და მისაბმელ მანქანაზე მომუშავეს ტ. კევლიშვილს. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კომბაინი არ გაცდეს და სრული დატვირთვით იმუშაოს.

დანაკარგის აღსაკვეთად კოლმეურნეებს ეხმარებიან მასწავლებლები და მოწაფეები. საქობოს 8-წლიანი სკოლის მოსწავლეთა ერთი ნაწილი — 32 ახალგაზრდა კვალდაკვალ მიჰყვება მომკელებს, და თავთავებს კრეფს. მოსწავლეთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ელენე კვირიკაშვილი. აქვე არიან მასწავლებლები მარიამ ნიკუაშვილი, შალვა კაკაშვილი, ილია ხოხონიშვილი.

26 ივნისს მოსწავლეებმა ე. ბაგალეიშვილმა, მ. ნიკუაშვილმა, ქ. მჭედლიშვილმა, ე. კვლიშვილმა, ა. ყარალიშვილმა, გ. ნიკუაშვილმა აკრეფილი თავთავებით თვითეულმა 32 კილოგრამი პური შეაბარა საკოლმეურნეო ბელს.

მინდვრად აგიტატორი ა. სესიტაშვილი, ბიბლიოთეკარი ქ. ბებრიშვილი შესვენების საათებში მართავენ საუბრებს, უშვებენ საველე გაზეთს. გაზეთში წერენ მოსავლის აღებაში მოწინავე კოლმეურნეებსა და მექანიზატორებზე, აკრიტიკებენ ზარმაცებს. 26 ივნისს საველე გაზეთში მოთავსებული იყო შენიშვნა სათაურით „სიზარმაცე სამარცხვინოა“. მასში გაკიცხული იყო მარიამ კაკაშვილი, რომელიც თავს არიდებს კოლმეურნეობაში მუშაობას.

საკოლმეურნეო მინდვრებში ნახავთ აგრეთვე ექიმ ულენე ტურაშვილს და ექიმის თანაშემწე ლიდა ნიკუაშვილს. ისინი სამედიცინო მომსახურებას უწევენ კოლმეურნეებს. მინდვრად მოწყობილია რადიოკ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. ძანაშვილს, აგრონომ გ. ბიძინაშვილს, პარტორგანიზაციის მდივანს ი. ჩახნაშვილს დღისით ვერ ნახავთ კოლმეურნეობის კანტორაში, მხოლოდ მინდვრად შეხვდებით. ასეთი ზრუნვის შედეგად კოლმეურნეობამ შვიდ სამუშაო დღეში პურეული 500 ჰექტარზე აიღო. მკასთან ერთად შეუდგნენ ნამჯის გამოზიდვას და ხვნას. ტრაქტორისტებმა ს. ხორადაშვილმა, დ. იაშვილმა და დ. ჯოხარაძემ უკვე მოხნეს 80 ჰექტარი. კოლმეურნეთა პიროობაა 1.702 ჰექტარი პურეულის მკა 20 სამუშაო დღეში დაამთავრონ. წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. საამისოდ გამოყოფილია სპეციალური მანქანები.

მისაბაძია ულიანოვკელ მექანიზატორთა შრომა. ისინი მოსავალს იღებენ სოფელ ბოდბის ბერიას სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობების, ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“, მაღაროს კოლმეურნეობა „ლენინის გზისა“ და „შრომის“ ყანებში. საკოლმეურნეო მინდვრებში უკვე გავიდა სამი ათეული კომბაინი. ოთხ სამუშაო დღეში მათ 1.425 ჰექტარი მომკეს. სამაგალითოდ მუშაობს კომბაინერი ივანე ბაიდოშვილი, რომელიც ეჯიბრება წითელწყაროს მტს-ის კომბაინერ ა. გარსევანიშვილს. ი. ბაიდოშვილმა სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში“ „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით პურეული მომკა 105 ჰექტარზე.

## ნაქედი კალო და მწარე სინამდვილე

სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. მოსავლის აღების პირველმა დღეებმა გამოავლინა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი. სოფელ ვაქირის კოლმეურნეობაში პური ასაღებია 1.702 ჰექტარზე. პურეული მთელ ფართობზე მომწიფდა, მაგრამ კოლმეურნეობა საამისოდ მოუმზადებელია. კოლმეურნეებს საერთო კრებაზე ჯერ მოსავლის აღების სამუშაო გეგმაც არ განუხილავთ.

ცუდად არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია. შრომისუნარიანი კოლმეურნეები შ. ბეიტრიშვილი, მ. დავითაშვილი, ს. ვარდიაშვილი და სხვები სისტემატურად არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. მიმდინარე წლის საოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პირველ პერიოდში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი აქ არ გამოუმუშავებია 112 კაცს. პურეული უკვე მომყილია 175 ჰექტარზე და ჯერ კიდევ არც ერთი ჰექტარიდან არ გაუტანიათ ნამჯა.

ზოგან კალოები ცუდად მოაწყეს და ამის გამო დროულად ვერ წმენდენ და ვერ აშრობენ გალეწილ მარცვალს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ქემაშვილმა საუბარში განაცხადა, პირველ ბრიგადაში მოწყობილია სანიმუშო კალო, სადაც მარცვლეულს წმენდა სწრაფად მიმდინარეობსო, ჩვენ ვნახეთ თავმჯდომარის ნაქები კალო, მაგრამ სულ სხვა სურათი აღმოჩნდა. კალო ძალიან ცუდად მოუწყვიათ, ალაგ-ალაგ ჩალრმავებულია. წვიმის დროს აქ წყლის გუბე დგება. მარცვლის გაშრობასა და გაწმენდას დიდ დროს ანდომებენ და მუშახელიც ცდება.

შ. მოსაშვილის ბრიგადაში ხორბალი ასაღებია 220 ჰექტარზე. ორი კომბაინით სამ სამუშაო დღეში მომკილია მხოლოდ 20 ჰექტარი. „კომუნარის“ მარკის კომბაინი, რომელსაც წნორის მტს-ის კომბაინერი ვ. აღვინოვი მართავს, ხშირად ცდება. ეს იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობამ ასაღები ნაკვეთი კარგად არ მოამზადა. სწორედ ამ მიზეზით 25 ივნისს კომბაინი დაზიანდა და მთელ დღეს მხოლოდ ერთი ცენტნერი ხორბალი გალეწა (!).

მოსავლის აღების დროს დიდძალი პური იკარგება. თავთავის აკრეფისათვის თავს არ იწუხებენ. მოსავლის აღების პერიოდში მინდვრად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ჩაშლილია. პირველ ბრიგადაში აგიტატორებად რ. სიფრაშვილი და ც. გოგოლაშვილი მხოლოდ ფორმალურად არიან გამოყოფილი. ისინი სისტემატურად არ დადიან მინდვრებში, არ უშვებენ საველე გაზეთს, არსად არ არის გაკრული პლაკატები, ლოზუნგები.

ბრიგადის წევრები გულის ტკივილს გამოსთქვამენ, რომ ვერ ისმენენ ახალ ამბებს, რომ მათთან აგიტატორები არ მიდიან. კოლმეურნეობაში კი მომზადებული ადამიანები ცოტანი როდი არიან. სოფელს ჰყავს კარგი ინტელიგენცია. შეიძლებოდა მათი ჩაბმა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, მაგრამ ეს შესაძლებლობა აქ არ გამოუყენებიათ. პარტორგანიზაციის მდივანი ე. ცერცვაძე ერთი თვეა რაც მუშაობს, მას პარტიული მუშაობის გამოცდილება აკლია. პარტიის რაიონული კომიტეტი ამას არ ითვალისწინებს და სათანადო დახმარებას არ უწევს.

მოსავლის აღების საქმეში სახარბიელო მდგომარეობა არც წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაშია. კომბაინერი გ. ნიკუაშვილი 25 ივნისს რამდენიმე საათს გაცდა იმის გამო, რომ არ ჰქონდა კომბაინის სათადარიგო ნაწილები. სუსტად იბრძვიან დანაკარგების წინააღმდეგაც. არ წარმოებს თავთავების მთლიანად აკრეფა. ბრიგადის (ხელმძღვანელი ვ. ბაგალიშვილი) ყანაში პურეულის დანაკარგი დიდია.

* * *

მოსავლის აღების პირველი დღეები მოწმობენ, რომ რაიონში ცოტანი როდი არიან უხვი მოსავლის ოსტატები, სახელოვანი კომბაინერები. მათი ბეჯითი შრომის შედეგად 25 ივნისისათვის პურეული 4.962 ჰექტარზე იყო მომკილი. მექანიზატორები გვპირდებიან 31.781 ჰექტარი მოსავალი აიღონ 25 სამუშაო დღეში. მაგრამ მკის აღებული ტემპი, ის, რომ შესანიშნავი ტექნიკა და კოლმეურნეობებში შრომითი რესურსები მაქსიმალურად არ არის გამოყენებული, სერიოზულად აფიქრებს კაცს. როგორც ჩანს, პარტიის რაიონულ კომიტეტსა და რაისაბჭოს აღმასკომში კმაყოფილი არიან მოსავლის აღებისადმი თავიანთი ხელმძღვანელობით.

**შ. ჭოჭუა,**

სილნაალი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

## სტალინგრადელი პიონერები ქუთაისში

ქუთაისში საექსკურსიოდ ჩამოვიდა 15 სტალინგრადელი პიონერი.

სტუმრებს ქალაქის პიონერულ ბანაკებში გულთბილი შეხვედრა მოუწყეს და მათ პატივსაცემად გაიმართა კონცერტები.

სტალინგრადელმა პიონერებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, ინახულეს აგრეთვე მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი და გელათის ისტორიული მონასტერი.

## სტალინირის თეატრი გურჯაანში

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). გურჯაანის რკინიგზის მუშათა კლუბში სპექტაკლები გამართეს კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის მსახიობებმა. მათ მაყურებელს უჩვენეს დ. შჩეგლოვის პიესა „გამოქცევა“, მ. ბარათაშვილის „მარინე“ და ვ. პატარაიას „მელია და მისი კუდი“.

თეატრმა სოფელ ველისციხის კულტურის სახლში დადგა მ. ბარათაშვილის „მარინე“.

სპექტაკლებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს.

## ხალხური ტალანტები

მრავალი საინტერესო და ლამაზი ექსპონატია დაცული საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ მუზეუმში, აქ წარმოდგენილია მუშების, კოლმეურნეების, მოსწავლეების, დიასახლისების მიერ შესრულებული მხატვრული ნაწარმოებები.

აღსანიშნავია გ. რუსეიშვილის მიერ ხეზე შესრულებული კვეთილობა — გორში ი. ბ. სტალინის სახლის და ავლაბრის არალეგალური სტამბის მაკეტები, კოლმეურნე შ. მარიდაშვილის მიერ ქვაზე ამოკვეთილი „ქორწინება“ და „მწყემსის დასვენება“. საინტერესოდ არის გაკეთებული ინეინერ გ. ალექსანდროვის მიერ „ხის წიგნი“, რომლის ყდაზე თეთრი ძვლისაგან არის გამოსახული დიდი პოეტის ვაჟა-ფშაველას სახე. წიგნში მოთავსებულია პოეტის ნაწარმოებების — „შვილის ნუკრის ნაამბობის“, „პატარა მწყემსის ფიქრების“, „დაჭრილი ავაზას“, „სათაგურის“ და სხვ. თემებზე ძვლისაგან ლამაზად ამოჭრილი სურათები.

მუზეუმში დაცულია მრავალი მხატვრული ნაქარგი. მათ შორის საინტერესოა დიასახლის ა. კიწმარაშვილის მიერ შესრულებული ნაქარგები „ფხენიანი იწვის“, „პუშკინის პორტრეტი“, „ჩაის პლანტაცია“ და სხვ. ბევრია ვერცხლისაგან დამზადებული საგნები — მათ შორის მოსამსახურე გ. ხანდამაშვილის მიერ შესრულებული სურათი „სტალინი ახალგაზრდებს შორის“, აგრეთვე ვერცხლისაგან დამზადებული საყოფაცხოვრებო საგნები — აზარფეშები, „გრეხილები“ და სხვ. კარგად არის გაკეთებული თიხისაგან მატარებელი.

## მეშა თბილისისათვის

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათბობ მასალათა ტრესტ „თბილსათბობის“ თელავის განყოფილებამ გადამეტებით შეასრულა შეშის დამზადებისა და თბილისში შეზიდვის 6 თვის გეგმა.

განყოფილებამ გეგმის გადამეტებით 1.730 კუბმეტრი შეშა დაამზადა. თბილისში შეზიდულია 980 კუბმეტრით მეტი შეშა.

შეშის დამზადება და თბილისში გაგზავნა გრძელდება.

# სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



**პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მანქანათმშენებელ საწარმოებში ფართოდ ვრცელდება ლითონის ძალოსნური ჭრის მეთოდი, რომელიც საბჭოთა ნოვატორმა ხარატმა ვასილ კოლესოვმა შეიმუშავა. სატრაქტორო ქარხანა „ურსუსის“ ხარატმა სტანისლავ რიტელმა კოლესოვის საჭრისის გამოყენებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. სურათზე: სატრაქტორო ქარხანა „ურსუსის“ ხარატი სტანისლავ რიტელი სამუშაოზე.**

## ახალი შახტების მშენებლობა ჩინეთში

პეკინი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ დღეს იუწყება, რომ წარმატებით მიმდინარეობს ხაიჯოუს ქვანახშირის ღია კარიერის მშენებლობა. საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით მშენებლობის დასახული ვადები ორი წლით შემცირდა.

ახალი პროექტის თანახმად ხაიჯოუს ქვანახშირის ღია კარიერის ფართობი, წერს გაზეთი, 3,7 კვადრატული კილომეტრით გადიდდება, რაც საბჭოთა კავშირიდან მიღებული თანამედროვე ტექნიკის ფართოდ გამოყენებით შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გადიდდეს ქვანახშირის ამოღება.

## ვარშავის მსუბუქი ავტომობილების ქარხნის მშენებლობა

ვარშავა. (საკდესი). სახალხო პოლონეთში ვარშავის მსუბუქი ავტომობილების პირველი ქარხნის მშენებლობა საბოლოო პერიოდში შევიდა. როგორც ცნობილია, ეს ქარხანა აღიჭურვება უახლესი საბჭოთა მანქანებითა და მექანიზმებით

მიმდინარე წლის აპრილში ქარხანაში დამთავრდა დიდი მექანიკური საამქროს მშენებლობა, რომელიც მოტორებს დაამზადებს „მ-20 ვარშავა“ მარკის ავტომობილებისათვის. ამჟამად ამ საამქროში უკვე დაწყებულია მოტორის ზოგიერთი ნაწილის წარმოება. ამ დღეებში დამთავრდა ჩარხ-ავტომატების დადგმა, რომლებითაც იწარმოებს მოტორის კორპუსის დამუშავება.

წლის ბოლოსათვის სავსებით დამთავრდება ფერადი ხარხ-ავტომატების საამქროს მშენებლობა.

დღითიდღე ძლიერდება დიდი საარმატურო საამქროს მშენებლობის ტემპი. აქ უკვე შესრულებულია სამშენებლო სამუშაოთა 90 პროცენტი.

ქარხნის მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წლის დამლევისათვის დაამთავრონ ყველა საწარმოო საამქროს მშენებლობა. 1955 წელს — ხუთწლედის უკანასკნელ წელს ვარშავის ქარხანამ პოლონეთს უნდა მისცეს 12 ათასი მსუბუქი ავტომობილი.

## საბჭოთა კომბაინერები ბულგარეთის ინდუსტრიულ ფერმებში

შანხაი, 29 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ანხუეიჟიბაო“ იუწყება, რომ საბჭოთა კომბაინერები მუშაობენ ანხუეის პროვინციის ფანდიუხუს სახელმწიფო მეურნეობის მინდვრებში. ერთი კვირის განმავლობაში კომბაინებით აქ აიღეს 9.275 მუ ხორბალი და სხვა კულტურები (1 მუ უდრის 0,068 ჰექტარს). წელს ხორბლის საშუალო მოსავალი მეურნეობაში ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე ახლომდებარე რაიონების გლეხთა მოსავალი. როცა საბჭოთა კომბაინები სახელმწიფო მეურნეობის მინდვრებში მუშაობდნენ, იქ ყოველდღე დადიოდა ბევრი გლეხი პროვინციის სხვადასხვა რაიონიდან და თვალნათლივ რწმუნდებოდა ტექნიკის უდიდეს უპირატესობაში.

## წარმოების საბჭოთა მოწინავეების მაგალითისამებრ

ბუქარესტი. (საკდესი). წარმოების საბჭოთა მოწინავეების მაგალითისამებრ ქალაქ სტალინის მანქანათმშენებელ ქარხანა „სტრუნგულის“ მღარავმა შტეფან ჩერეიმ საღარავ ჩარხებზე გამოიყენა ლითონის ძალოსნური ჭრის მეთოდი. ამან შესაძლებლობა მისცა ერთიორად გაეღიდებინა შრომის ნაყოფიერება.

შტეფან ჩერეის ინიციატივამ სხვა სამრეწველო საწარმოების მღარავთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. 23 ივნისს ქარხანა „სტრუნგულში“ გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტალინის ოლქის 13 საწარმოს მღარავებმა, ტექნიკოსებმა და ინჟინრებმა. ამ თათბირზე შტეფან ჩერეიმ დამსწრეთ გაუზიარა თუჯის დიდი დეტალების ღარვისას კოლესოვის მეთოდის გამოყენების თავისი გამოცდილება.

## ბულგარეთში შენდება ახალი ქალაქი

სოფია, 29 ივნისი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო მეტალურგიული ქარხნის ახლოს, რომელიც ბულგარეთში მდინარე სტრუმაზე შენდება, იზრდება ახალი ქალაქი — დიმიტროვო-ვოსტოკი. 1952 წლის მაისიდან აქ ქარხნის მუშებისათვის აშენდა 15 კეთილმოწყობილი სახლი.

გაივლის ცოტა ხანი, და აქ კიდევ ამშენდება ათობით საცხოვრებელი შენობა, კულტურის სასახლე, პიონერთა სასახლე, უნივერმაღი და ბევრი სხვა ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი შენობა. ქალაქი ლამაზად იქნება დაგეგმილი და გამწვანებული. ტროლეიბუსის ხაზი მას დააკავშირებს დედაქალაქ სოფიასთან.

## ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის კლუბები ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის ოლქებში შექმნილი ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის კლუბები დიდი წარმატებით სარგებლობს მოსახლეობაში.

ამ კლუბებში გახსნილია ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, რომლებშიც დიდძალი საბჭოთა ლიტერატურაა რუსულ, ჩეხურ და სლოვაკურ ენებზე, აგრეთვე არის საბჭოთა გაზეთები და ჟურნალები. კლუბები მართავენ საუბრებსა და ლექციებს საბჭოთა შრომის მეთოდებსა და კულტურულ-პოლიტიკურ თემებზე. აგრეთვე აწყობენ გამოფენებს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და შრომაზე. აქ აჩვენებენ საბჭოთა კინოფილმებს, მართავენ საბჭოთა მუსიკის საღამოებს, საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა წაკითხვას, იმ დელეგაციების წევრებთან შეხვედრებს, რომლებმაც სსრ კავშირი ინახულეს, და სხვ.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის კლუბები რაიონულ ქალაქებშიც არის.

---

ლინდა მათი გიგანტური შემოქმედებითი ძალები. სწორედ ხალხის მასების შემოქმედებამ შექმნა საბჭოები როგორც პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური ფორმა.

ბურჟუაზიის იდეოლოგები მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მქონე ამ რევოლუციურ გადატრიალებას ხატავდნენ როგორც „ბოლშევიკ აგიტატორთა“ საქმიანობის შედეგს. თანამედროვე პირობებში ბურჟუაზია სწორედ ასევე ცდილობს დახატოს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მომხდარი რევოლუციური გარდაქმნები როგორც „კომუნისტ აგიტატორთა“ საქმიანობის შედეგი. ასეთ მტკიცებებში თავს იჩენს არა მარტო ბურჟუაზიის კლასობრივი სიძულვილი ხალხისადმი, არამედ მისი მსოფლმხედველობის შეზღუდულობაც, ისტორიის სუბიექტივისტური გაგება. რევოლუცია არ შეიძლება მოხდეს, თუ არ მომწიფებულა ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, თუ ხალხში არ წარმოშობილა დრომოჭმული წყობილების დამხობის აუცილებლობის შეგნება.

სოციალისტური რევოლუციის ეკონომიურ საფუძველს, ძირითად მიზეზს, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასები, წარმოადგენს თანამედროვე საწარმოო ძალების კონფლიქტი კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობასთან, საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონის მოქმედება. ამ კანონის მოქმედების გარეშე, მასზე დაყრდნობის გარეშე შეუძლებელია გამარჯვება სოციალისტურ რევოლუციაში.

კომუნისტურმა პარტიამ შეძლო აემხედრებინა და დაერაზმა მუშათა და გლეხთა უფართოესი მასები კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად სწორედ იმიტომ, რომ ეს გამოწვეული იყო ღრმა ეკონომიური მიზეზებით, ხალხის მასების ძირეული ინტერესებით. კომუნისტების პარტიისა და მისი ბელადების ლენინისა და სტალინის მოწოდებანი გამოძახილს პოულობდნენ მილიონობით ადამიანთა გულსა და გონებაში იმიტომ, რომ ისინი ზუსტად გამოხატავდნენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროებებს, ასეულ მილიონობით ადამიანთა მისწრაფებებსა და იმედებს.

ხალხის მასების უდიდესმა გარდამქმნელმა როლმა თავი იჩინა როგორც საბჭოების ხელისუფლებისათვის ბრძოლის მსვლელობაში, ისე ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში, საწარმოო ძალების მძლავრ განვითარებაში, სოციალისტური კულტურის შექმნაში. ეკონომიურად ჩამორჩენილი უდიდესი ქვეყნის ცამეტი წლის განმავლობაში გადაქცევა პირველხარისხოვან სოციალისტურ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ შესაძლებელი იყო მხოლოდ ათეულ მილიონობით ადამიანთა შემოქმედებითი შრომით, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. მრავალი მილიონი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის გარდაქმნა მოწინავე ტექნიკაზე დაყრდნობილ მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად შესაძლებელი იყო მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ზემოდან კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფო ხელისუფლების ინიციატივას ქვემოდან მხარი დაუჭირეს თვით გლეხობის გიგანტურმა მასებმა. ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა რომ არა, მათი თავდადება და გმირობა რომ არა, ისე შეუძლებელი იქნებოდა სოციალისტური საზოგადოების აშენება.

საბჭოთა ხალხის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელების მიერ მოპოვებულმა გამარჯვებებმა უდაოდ დაამტკიცა, რომ მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ თვითონ მართონ საზოგადოება და სახელმწიფო, აშენონ ახალი ცხოვრება, სადაც არ არიან ექსპლოატატორები. ბურჟუაზიისა და მის იდეოლოგთა ძველი ზღაპრები, ხალხს შეუძლია მხოლოდ ანგრიოს და არა აშენოსო, გააცამტვერა სსრ კავშირის ხალხების ისტორიული შემოქმედების გამოცდილებამ, ხალხებისა, რომლებმაც დაამხეს კაპიტალიზმის უღელი და შექმნეს ახალი, უმაღლესი საზოგადოებრივი წყობილება.

სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილებამ ცხადყო, რომ ხალხთა და სახელმწიფოთა ბედს უწინარეს ყოვლისა მშრომელთა მილიონიანი მასები წყვეტენ. „მუშები და გლეხები, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — რომლებიც უხმაუროდ და უაურზაუროდ აშენებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, შახტებსა და რკინიგზებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ქმნიან ცხოვრების ყველა სიკეთეს, აჭმევენ და აცმევენ მთელ მსოფლიოს, — აი ვინ არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირები და ნამდვილი შემოქმედნი“. ლენინო საბჭოთა ადამიანების უხმაურო ყოველდღიური შრომა დიადი და შემოქმედებითი შრომაა.

ხალხის მასებში აურაცხელი შემოქმედებითი ძალა, ტალანტი, ნიჭია. ამ ძალებს კაპიტალიზმი თელავს, ღუპავს მტაცებლური, მხეცური ექსპლოატაციით. ყველა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ხალხს მხოლოდ მატერიალური დოვლათის მწარმოებლის როლი აქვს მიკუთვნებული. ბატონობა, ხელმძღვანელი როლი ცხოვრების ყველა სფეროში ექსპლოატატორებს ეკუთვნოდათ. სოციალიზმის ეპოქის დადგომის შემდეგ ძირეულად იცვლება ხალხის მასების როლი საზოგადოების ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ხალხი ისტორიაში პირველად გახდა გაბატონებული ძალა ეკონომიკაშიც, პოლიტიკაშიც, კულტურის სფეროშიც. სოციალიზმმა გათავისუფლა ხალხის შემოქმედებითი ძალები, უფართოესი გასაქანი მისცა მათს გამოყენებას. შეგნებული მოღვაწეობა მილიონებისა, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ისტორიის მსვლელობის გიგანტური დაჩქარების, საწარმოო ძალთა განვითარების უმაგალითო ტემპების, ახალი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის აყვავების წყაროა.

ძირეული მიზეზი ხალხის შემოქმედებითი ძალების ზრდისა, რომელიც ისტორიაში უმაგალითოა, მდგომარეობს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ბუნებაში, ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობაში, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაში, საბჭოთა პატრიოტიზმში. ისტორიაში პირველად, სოციალიზმის პირობებში, მილიონობით ადამიანთა მოქმედება გაერთიანებულია ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესთა ერთიანობით, მიზნის ერთიანობით.

მარქსიზმი გვასწავლის, რომ ახალი წარმოებითი ურთიერთობა საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების მთავარი და გადამწყვეტი მამოძრავებელია. სწორედ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა — ექსპლოატაციისაგან თავისუფალ მუშაკთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობა — იწვევს ათეულ მილიონობით ადამიანთა, კომუნიზმის მშენებელთა მზარდ შემოქმედებითს ინიციატივასა და ენერგიას.

კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ეს ამოცანები საბჭოთა ხალხისაგან მოითხოვენ ძალების, ენერგიის დაძაბვას, ინიციატივას, შრომითს გმირობას, მაღალ კომუნისტურ შეგნებულობას.

დიადი მიზანი დიად ენერგიას წარმოშობს. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებს უპასუხებს მზარდი შრომითი გმირობით, ინიციატივისა და გამომგონებლობის ახალი გამოვლინებებით. აი ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი. საკავშირო პროფსაბჭოს მონაცემებით, რაც „პრავდაში“ 1953 წლის 9 მაისს გამოქვეყნდა, 1952 წელს მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის საწარმოებში საწარმოო თათბირებზე მიღებულ იქნა 10 მილიონი წინადადება წარმოების, შრომის იარაღებისა და მეთოდების რაციონალიზაციის, სახსრების ეკონომიის შესახებ და სხვ., აქედან 8 მილიონზე მეტი განხორციელებულია.

ამ ციფრებით გამოხატულია მზარდი შემოქმედებითი ინიციატივა და ენერგია მილიონობით ადამიანებისა, რომლებიც წინ სწევენ წარმოებას. თანამედროვეობის უძლეველი მოძრაობა — სოციალისტური შეჯიბრება — ნამდვილად საყოველთაო-სახალხო მოძრაობაა, რომელიც არევოლუციურებს წარმოების ტექნიკას, შრომის მეთოდებს; ეს მოძრაობა აცამტვერებს, სპობს თავის გზაზე ყოველივე უძრავს, ბიუროკრატიულს, დრომოჭმულს, ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ახლის, კომუნისტურის ზრდას. ამ მოძრაობაში საბჭოთა ხალხი გამოდის როგორც ახალი ცხოვრების ბატონ-პატრონი და შემოქმედი.

სოციალიზმის პირობებში საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის საფუძველზე იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, მაღლდება მათი კულტურულ-ტექნიკური დონე.

პარტიის მიერ დასახული ამოცანა — კომუნისტური საზოგადოების აშენება — ნიშნავს არა მარტო მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნას, არამედ პიროვნების ყოველმხრივ განვითარებასაც, გიგანტურ ნახტომს მთელი საზოგადოების კულტურულ განვითარებაში.

კომუნიზმი წარმოიშობა მილიონიანი მასების შეგნებული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად, მასებისა, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს და წარმართავს. ჩვენი პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელთა პოლიტიკურ აღზრდას, როგორც ახალი ცხოვრების მშენებლობაში მასების აქტივობის გაძლიერების უმნიშვნელოვანეს პირობას. სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში პარტიის აღმზრდელობითი, იდეოლოგიური მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. პარტია სახავს ამოცანას საბოლოოდ დავძლიოთ კაპიტალიზმის გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში, აღვზარდოთ ყველა მშრომელნი საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით, სრულვყოთ საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებები — გამარჯვების რწმენა, მზადყოფნა და უნარი გადალახონ ყოველი სიძნელე დიადი მიზნის მიღწევის — კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე.

კომუნისტური პარტია — კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი — აღვიძებს, ავითარებს მასების შემოქმედებითს ენერგიას, აერთიანებს მილიონთა ლონისძიებებს, აძლევს მათ მიზნის, პერსპექტივის სიცხადეს, უნერგავს გამარჯვების რწმენას, უმრავლებს ძალებს, აჩქარებს განვითარებას. ამაში მდგომარეობს კომუნისტური პარტიის — საბჭოთა ხალხის ბელადის როლი.

კომუნისტების პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ჩვენი საბჭოთა მთავრობა მთელ თავიანთ მოღვაწეობაში, თავიანთ პოლიტ

## გერმანიის დემოკრატიული პრესა მიზინგების შესახებ საბჭოთა კავშირში

ბერლინი, 29 ივნისი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული გაზეთები კვლავ აქცეყნებენ ცნობებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებთან სოლიდარობის ნიშნად საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიტინგების შესახებ.

ღღეს გაზეთმა „ფორვერტსმა“ დაბეჭდა ცნობა სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის კოლექტივის კრების შესახებ, აგრეთვე საბჭოთა მწერლების მიმართვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერლებისადმი. გაზეთს მოჰყავს ამონაწერები მოსკოვის მწერალთა კრებაზე სურკოვისა და სოფრონოვის სიტყვებიდან.

გაზეთმა „ტრიბუნემ“ სათაურით: „საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი სოლიდარობას უცხადებს გერმანელ მშრომელებს“ «დაბეჭდა ცნობა იმ კრებების შესახებ, რომლებიც გაიმართა დონის როსტოვში, მინსკში, სტალინგრადში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

## პოლონელი მშრომელები გმობენ ბერლინში მომხდარი ფაშისტური პროვოკაციის ორგანიზატორებს

ვარშავა, 29 ივნისი. (საკდესი). მთელ პოლონეთს მოედო პროტესტის მძლავრი ტალღა ბერლინში მომხდარი ფაშისტური პროვოკაციის ორგანიზატორთა წინააღმდეგ. პოლონეთის დედაქალაქის მშრომელებმა, მეშახტეებმა და მეტალურგებმა, გემთმშენებლებმა, რკინიგზელებმა გადაჭრით დაგმეს ბერლინში მომხდარი პროვოკაციის ორგანიზატორები და სოლიდარობა გამოუცხადეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შუშათა კლასს, რომელმაც გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია თავშვებულ ავანტიურისტებს.

შახტ „სტალინოგრუდის“ მრავალათასოვანი კოლექტივი მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აცხადებს:

ჩვენს დიდ აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ მშვიდობისა და ახალგრეული მტრები ეძებენ ომის კერის შექმნის ახალ გზებს. სოლიდარობას გიცხადებთ თქვენ, ამხანაგებო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებო, თქვენს ბრძოლაში თქვენი სამშობლოს საუკეთესო, ბედნიერი მომავლის მშენებლობისა და მთელ მსოფლიოში ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

შახტ „სემიანოვიცეში“ გამართულ მიტინგზე მეშახტე ვენსოლეკმა განაცხადა:

ჩვენ ვამაყობთ იმ პოზიციით, რაც დაიკავა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შუშათა უდიდესმა უმრავლესობამ. მათ საკადრისი პასუხი გასცეს პროვოკატორებს. დაე იცოდნენ უცხოეთის დაქირავებულმა აგენტებმა, რომ მთელი მსოფლიოს მშრომელები შეძლებენ თავიდან აიცილონ მშვიდობის ხელყოფა.

მრავალათასოვანი საპროტესტო მიტინგები გაიმართა აგრეთვე შახტებში „ბობრეკში“, „სოსნიცაში“, „ზაბეკეში“, „ვსხუდსა“ და ბევრ სხვა შახტში.

## დასავლეთ გერმანიის მშრომელები გერმანიის კომუნისტურ პარტიაში შედიან

ბერლინი, 28 ივნისი. (საკდესი). აღნ-ის საგენტო დიუსელდორფიდან იუწყება:

ბერლინში ფაშისტური პროვოკაციების საპასუხოდ რურის ოლქის ბევრი შუშა აცხადებს, რომ სურს შეიყიდეს გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგებში. მაგალითად, დორტმუნდის მეტალურგიული ქარხანა „ვესტფალენ ჰიუტეში“ 26 შუშამ შეიტანა განცხადება გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღების შესახებ.

## ფასების ზრდა თურქეთში

სტამბოლი, 30 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დიუნია“ იუწყება, სტამბოლის გუბერნატორმა თურქეთის მთავრობას გაუგზავნა მოხსენება სიძვირის ზრდის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1950-დან 1953 წლამდე ხორცის ფასი გადიდდა 60 პროცენტით, ბოსტნეულისა და ხილისა — 60-დან 100 პროცენტამდე, ერბო-კარაქისა და ცხიმებისა — 68 პროცენტით და მთელი რიგი სხვა პროდუქტებისა 75 პროცენტით.

## დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა გმობს ფაშისტ პროვოკატორებს

ბერლინი, 29 ივნისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის დემოკრატიული გაზეთები იუწყებიან, რომ ჩაიფუშა ბონის რევანშისტების მორიგი პროვოკაციული კამპანია, რომლის მიზანი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის სიძულვილის გაღვივება და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული შემდგომი პროვოკაციებისათვის მხარდაჭერა.

რევანშისტული ჯანყობილების გაღვივების მიზნით ბონის ხელისუფალნი 23 ივნისს შეეცადნენ აეძულებინათ დასავლეთ გერმანიის მუშები ხუთი წუთით შეეწყვიტათ მუშაობა ბერლინში მომხდარი ამბების დროს დაღუპულ პროვოკატორთა „გლოვის“ ნიშნად. ითვალისწინებდნენ რა დასავლეთ გერმანიის მუშათა უარყოფითს დამოკიდებულებას ამ პროვოკაციისადმი, მეწარმენი ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ ხუთი წუთით შეეწყვიტათ მუშაობა საწარმოებში ელექტროდენის ამორთვით, საყვირის ჩართვით და სხვ.

როგორც დასავლეთ გერმანიის პრესის დემოკრატიული ორგანოები იუწყებიან, დასავლეთ გერმანიის საწარმოების მუშათა უმრავლესობამ უარი თქვა დამორჩილოს მეწარმეთა და პროფკავშირების მემარჯვენე-სოციალისტურ ლიდერთა ამ მოთხოვნას და მუშაობა არ შეწყვიტა.

გაზეთი „ფრაიეს ფოლკი“ ამის გამო წერს, რომ რურის ოლქში მეშახტეები არ აჰყვნენ მტრის მოწოდებას.

გაზეთს მოჰყავს „ბისმარკ 1/4“ შახტში მეშახტის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ჩვენ რურის მაღაროელებს, ისინი ვერ დაგვითანხმებენ ომაზე, რომ სოლიდარობა გამოუცხადოთ ტროროისტებსა და ცეცხლწამკიდებლებს“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს იყო რურის მეშახტეთა დიდი უმრავლესობის აზრი.

დუისბურგის სპილენძსადნობი ქარხნის მუშებმა კატეგორიული უარი თქვეს მუშაობის შეწყვეტაზე და განაცხადეს: „ჩვენ არ გვინდა ზეიმით აღვნიშნოთ რაიხსტაგის მეორე ცეცხლწაკიდება“. ვუპერტალის „ბემბერგის“ ფირმის მუშებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს საყვირის ხმას, რომლითაც ქარხნის დირექცია მოეწოდებდა მუშებს შეეწყვიტათ მუშაობა, და დამშვიდებით განაგრძობდნენ მუშაობას.

დიუსელდორფის ფოლადსადნობი ქარხნის „ობერბილკერის“ კოლექტივმა წინასწარ მიიღო გადაწყვეტილება არ შეეწყვიტა მუშაობა.

კატეგორიული უარი განაცხადეს მუშაობის შეწყვეტაზე ჰამბურგის გემთსაშენის მუშებმა, ჰამბურგის ნავსადგურის მუშებმა, აგრეთვე ემდენის გემთსაშენისა და ნავსადგურის მუშათა კოლექტივებმა.

ბონის ხელისუფალნი, დემოკრატიული გაზეთების ცნობებით, ცდილობენ არ დაუშვან მართალი ინფორმაციის გავრცელება ბერლინში მომხდარი ამბებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ, კრძალავენ გერმანიის კომპარტიის წინასაარჩევნო მიტინგებისა და კრებების მოწყობას და ბანდიტურ ჯგუფებს გზავნიან დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული რბევის აქციების განსახორციელებლად. ამ უკანასკნელ დღეებში გერმანიის კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო მიტინგები და კრებები აიკრძალა ბრაუშვაიგში, ნორდჰორნში, მიუნხენსა და დასავლეთ გერმანიის სხვა ქალაქებში.

გაზეთი „დი ვარჰაიტი“ იუწყება, რომ 23 ივნისს ღამით ეგრეთწოდებული „გერმანიის ახალგაზრდობის კავშირის“ წევრების ბანდები თავს დაესხნენ გერმანიის კომუნისტური პარტიის რაიონული ბიუროს შენობას ბრაუნშვაიგში.

დასავლეთ გერმანიის პრესის დემოკრატიული ორგანოებები კვლავ აქცეყნებენ დასავლეთ გერმანიის მცხოვრებთა განცხადებებს, რომლებიც გმობენ ბერლინში მომხდარ პროვოკაციას.

## ბერლინში ფაშისტური პროვოკაციის გამო

### „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის“ წევრის ჰორსტ ჰერტელის ჩვენება

ბერლინი, 29 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა ფაშისტური „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის“ წევრის ჰორსტ ჰერტელის დაკითხვის ოქმი. ჰერტელი მონაწილეობას იღებდა ბერლინში 1953 წლის 17 ივნისის ფაშისტურ პროვოკაციაში.

ჰერტელი და ფაშისტთა ჯგუფის ექვსი სხვა წევრი 17 ივნისს ბერლინის აღმოსავლეთ სექტორში არბევდნენ მაღაზიების ვიტრინებს, ხევდნენ ლოზუნგებს, გაიძახოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებს, მონაწილეობა მიიღეს მსუბუქი მანქანის შოფრის ცემაში. ჰერტელმა აჩვენა, რომ დავალება 17 ივნისის პროვოკაციაში მონაწილეობის მიღების შესახებ მას მისცა „გერმანიის ახალგაზრდობის კავშირის“ ორგანიზაციის მეთაურმა. თუმცა ჯგუფის მეთაური გერმანულად ლაპარაკობს, მაგრამ ჰერტელს იგი ამერიკელად მიაჩნია. უკანასკნელად ფაშისტთა ჯგუფი 13 ივნისს შეიკრიბა. ჯგუფის წევრები გაფრთხილებული იყვნენ, რომ უახლოეს დროში აღმოსავლეთ ბერლინში დაიწყებოდა არეულობა, და დავალება მიიღეს ყველა საშუალებით შეეწყოთ ხელი პროვოკაციისათვის.

## მძიმე სასურსათო მდგომარეობა აღმოსავლეთ კაკისტანში

კარაჩი, 30 ივნისი. (საკდესი). გაზეთ „პაკისტან ტაიმსის“ კორესპონდენტი დაკიდან იუწყება, რომ აღმოსავლეთ პაკისტანში მძიმე სასურსათო მდგომარეობაა. განსაკუთრებით სერიოზული მდგომარეობა შეექმნა რანგპურის, ნოაკალის, მაიმენსინგის, ტიპერის, კულნის, ბარისალისა და სილჰეტის რაიონებში. ახალი მოსავალი მოსპო მდინარეთა ადიდებულმა წყალმა და ნიაღვრებმა. სამხმხარეული საქონლის ფასი უმაგალითოდ გადიდდა, მაშინ როცა ფასები ჯუტისა, რომელსაც გლეხები ყიდიან, ძლიერ დაეცა. ამის გამო ბევრმა გლეხმა გაყიდა კუთვნილი მცირე ნაკვეთები და ფაქტიურად დაკარგა ცხოვრების საშუალება.

ბენგალური გაზეთი „იზადი“ ამის გამო წერდა: არავითარი ეჭვი არ არის, რომ ხალხის ეკონომიურმა გაჭირვებამ ამჟამად უმაღლეს წერტილს მიაღწია. სურსათის ნაკლებობას, პირველი საჭიროების საქონლის დიდ ფასებს, უმუშევრობის სერიოზულ პრობლემას — ყოველივე ამას შეუძლია გამოიწვიოს ცხოვრების ელემენტარული პირობების მოსპობა. მთავრობის უდარდელი საქციელის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას არ ესმის შექმნილი მდგომარეობის მთელი სერიოზულობა.

## საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „პრაღის გაზაფხული“

პრაღა, 29 ივნისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „პრაღის გაზაფხულის“ მსვლელობაში გაიმართა ჩეხური ფილარმონიის ორკესტრის კონცერტი, რომელსაც დირიჟორობდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული ოსტატი კონსტანტინე სილვესტრი.

## მათ არ იციან ნამდვილი გავშვება

მეტად მძიმეა ბავშვების ხვედრი კაპიტალისტურ სამყაროში. გამალებული ხაომარი მზადება აუტანელ ტვირთად აწვება მშრომელ ხალხს. მუშათა ნაოფლარით ჯიბეგასქელებული ექსპლოატატორები გატაცებული არიან ზემოგებით. ახალი ომისათვის მზადება მათ შემოსავლის ახალ წყაროს უქმნის. ამიტომ არ მოსწონთ მათ სიტყვა „მშვიდობა“, ამიტომ უსპობენ ისინი მოზარდ თაობას ბავშვობის სიხარულს, განუმზადებენ სიღატაკეს, შიმშილს, მძიმე დაავადებას, აქცევენ უსინდისო ვაჭრობის საგნად.

გაზეთ „ვი უვრიერის“ ცნობით პენსილვანიის შტატის მცხოვრები უმუშევარი ედვარდსი იძულებული გახდა ხელი აეღო ერთადერთ სიხარულზე — გაჰყიდა ორი წლის ქალიშვილი და განაცხადა, რომ მას სხვა საშუალება არ ჰქონდა, ბავშვს შიმშილით სიკვდილი მოელოდა. ეს მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ცხადია, ბავშვების მდგომარეობა უფრო ცუდია კოლონიურ, დამოკიდებულ და ნახევრად დამოკიდებულ ქვეყნებში.

მაგალითად, იტალიაში ასულ ათასობით მცირეწლოვანი ბავშვი იწყებს მძიმე ფიზიკურ შრომას, 300 ათასი უპატრონო ბავშვის ხვედრია ქუჩის მაწანწალა იყოს. უფრო მძიმეა ტუნისელი ბავშვების მდგომარეობა.

სურათზე ვხედავთ შიმშილით სიკვდილისათვის განწირულ ტუნისელ ბავშვებს. უმუშევარი მშობლები უძლური არიან იხსნან ისინი.

ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ბედნიერად ცხოვრობენ უცხოელი მოძალადენი — ფრანგი მემამულეები და მონოპოლისტები, რომლებიც არაადამიანურ ექსპლოატაციას უწევენ ტუნისელ მშრომელებს.

## ინდოეთისა და პაკისტანის პრესა გმობს ლი სინ მანის პროვოკაციულ მოქმედებას

პეკინი, 28 ივნისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო დელიდან იუწყება:

ინდოეთისა და პაკისტანის პრესა მკვეთრად აკრიტიკებს ამერიკელთა დამოკიდებულებას ლი სინ მანის პროვოკაციული ცდებისადმი — ჩაშალოს დაზავება კორეაში — და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მოითხოვს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ეფექტიან მოქმედებას ამ პროვოკაციის წინააღმდეგ.

ბენარესის ყოველდღიური გაზეთი „ა×ი“ („დღეს“), რომელიც ჰინდურ ენაზე გამოდის, მოწინავე სტატიაში წერდა: თუ ამერიკას „სურს აზიამ დაიჯეროს, რომ ამერიკა პატიოსნად და გულწრფელად მოისწრაფვის აზიაში მშვიდობის დამყარებისაკენ, მან უნდა შეწყვიტოს ×ოროხეთური წაქეზება ლი სინ მანისა და ჩან კაი-შისა, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ისინი კორეაში მშვიდობის უბოროტესი მტრები არიან“.

ყოველკვირეული „კროსროუდსის“ მოწინავე სტატიაში ნათქვამია:

„მთელი მსოფლიოს ხალხებმა იციან, რომ ლი სინ მანი არ გაათავისუფლებდა სამხედრო ტყვეებს, მას რომ მხარს არ უჭერდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა“.

ყოველკვირეული, აღნიშნავს რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობენ ლი სინ მანს, აცხადებს, რომ გენერალი კლარკი მოლაპარაკებას აწარმოებდა ლი სინ მანთან, მაგრამ, თუმცა ეს უცნაურია, მას არ განუხილავს საკითხი „განთავისუფლებულ“ სამხედრო ტყვეთა დაბრუნების შესახებ. გენერალმა კლარკმა კიდევაც განაცხადა, რომ შეერთებული შტატებს წინადადება--დიდოს „უშიშროების პაქტი“ სამხრეთ კორეასთან,—ჯერჯერობით კვლავ ძალაში რჩება.

ლაკნაუს გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი“ მოწინავე სტატიაში წერს: „კომუნისტებმა (ასე უწოდებს გაზეთი კორეა-ჩინეთის მხარეს. — **რედ.**). განაცხადეს, რომ განთავისუფლებული სამხედრო ტყვეები უნდა დაბრუნდნენ მათს ბანაკებში... არავის არ შეუძლია თქვას, რომ ისინი მართალი არ არიან“.

გაზეთი „დელი ექსპრესი“ აცხადებს: „რატომ არ შეიძლება ნოლოს და ბოლოს, გაუქმდეს ლი სინ მანის მთავრობის ცნობა? მან აშკარად უგულებელყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის პოლიტიკა და უშუალოდ უშლის ხელს მის განხორციელებას.

გაზეთი „პაკისტან ტაიმსი“ წერს: „თუმცა ლი სინ მანის ცალმხრივი მავნე მოქმედების დაგმობა ერთნაირად ძლიერი იყო ევროპასა და აზიაში, ამერიკის რეაგირება, თუმცა ეს უცნაურია, მარტო იმით გამოიხატა, რომ იმედგაცრუება და მწუხარება გამოთქვა ამ ინციდენტის გამო“.

## კორეის ამბები

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 29 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 29 ივნისს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო ჯარები განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან იონჩხონის და ხაგამნენის დასავლეთით მდებარე რაიონებში და კახორის სამხრეთით მდებარე რაიონში.

გუშინ აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად, ქალაქ კიმ ჩაკის რაიონში, დაზიანებულ იქნა მოწინააღმდეგის ერთი საესკადრო ნაღმოსანი.

ღღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 4 თვითმფრინავი.

## ინდოეთისა და პაკისტანის პრესა გმობს ლი სინ მანის პროვოკაციულ მოქმედებას

პეკინი, 28 ივნისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო დელიდან იუწყება:

ინდოეთისა და პაკისტანის პრესა მკვეთრად აკრიტიკებს ამერიკელთა დამოკიდებულებას ლი სინ მანის პროვოკაციული ცდებისადმი — ჩაშალოს დაზავება კორეაში — და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მოითხოვს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ეფექტიან მოქმედებას ამ პროვოკაციის წინააღმდეგ.

ბენარესის ყოველდღიური გაზეთი „ა×ი“ („დღეს“), რომელიც ჰინდურ ენაზე გამოდის, მოწინავე სტატიაში წერდა: თუ ამერიკას „სურს აზიამ დაიჯეროს, რომ ამერიკა პატიოსნად და გულწრფელად მოისწრაფვის აზიაში მშვიდობის დამყარებისაკენ, მან უნდა შეწყვიტოს ×ოროხეთური წაქეზება ლი სინ მანისა და ჩან კაი-შისა, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ისინი კორეაში მშვიდობის უბოროტესი მტრები არიან“.

ყოველკვირეული „კროსროუდსის“ მოწინავე სტატიაში ნათქვამია:

„მთელი მსოფლიოს ხალხებმა იციან, რომ ლი სინ მანი არ გაათავისუფლებდა სამხედრო ტყვეებს, მას რომ მხარს არ უჭერდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა“.

ყოველკვირეული, აღნიშნავს რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობენ ლი სინ მანს, აცხადებს, რომ გენერალი კლარკი მოლაპარაკებას აწარმოებდა ლი სინ მანთან, მაგრამ, თუმცა ეს უცნაურია, მას არ განუხილავს საკითხი „განთავისუფლებულ“ სამხედრო ტყვეთა დაბრუნების შესახებ. გენერალმა კლარკმა კიდევაც განაცხადა, რომ შეერთებული შტატებს წინადადება--დიდოს „უშიშროების პაქტი“ სამხრეთ კორეასთან,—ჯერჯერობით კვლავ ძალაში რჩება.

ლაკნაუს გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი“ მოწინავე სტატიაში წერს: „კომუნისტებმა (ასე უწოდებს გაზეთი კორეა-ჩინეთის მხარეს. — **რედ.**). განაცხადეს, რომ განთავისუფლებული სამხედრო ტყვეები უნდა დაბრუნდნენ მათს ბანაკებში... არავის არ შეუძლია თქვას, რომ ისინი მართალი არ არიან“.

გაზეთი „დელი ექსპრესი“ აცხადებს: „რატომ არ შეიძლება ნოლოს და ბოლოს, გაუქმდეს ლი სინ მანის მთავრობის ცნობა? მან აშკარად უგულებელყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის პოლიტიკა და უშუალოდ უშლის ხელს მის განხორციელებას.

გაზეთი „პაკისტან ტაიმსი“ წერს: „თუმცა ლი სინ მანის ცალმხრივი მავნე მოქმედების დაგმობა ერთნაირად ძლიერი იყო ევროპასა და აზიაში, ამერიკის რეაგირება, თუმცა ეს უცნაურია, მარტო იმით გამოიხატა, რომ იმედგაცრუება და მწუხარება გამოთქვა ამ ინციდენტის გამო“.

# თბილისი

## ნ. ვაჩნაძის ხსოვნის საღამო

გამოჩენილი ქართველი მსახიობის ნატო ვაჩნაძის ხსოვნის აღსანიშნავად ხელოვნების მუშაკთა სახლმა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 29 ივნისს ხელოვნების მუშაკთა სახლის პარკში მოაწყეს საღამო.

ნატო ვაჩნაძის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა კინოდრამატურგმა კ. გოგოძემ. მოგონებებით გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ანჯაფარიძე, კრიტიკოსი ბ. ეღენტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ს. დოლიძე, სახალხო მხატვარი, სტალინური პრემიის ლაურეატი უ. ჯაფარიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. მიქაბერიძე.

დასასრულ ნაჩვენები იქნა დოკუმენტალური ფილმი „ნატო ვაჩნაძე“.

პარკში გამოფენილი იყო ნატო ვაჩნაძის პორტრეტები, შესრულებული ქართული მხატვრების მიერ, ფოტოსურათები კინოფილმებიდან.

## შეხვედრა პოეტ ალიო მირცხულავასთან

თბილისის კულტურის ცენტრალურ სახლში გაიმართა შეხვედრა პოეტ ალიო მირცხულავასთან მისი დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით.

პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა კრიტიკოსმა ლ. კალანდაძემ. მისალმებებით გამოვიდნენ ორთაჭალეხესის მშენებლობის წარმომადგენელი თ. ქუთათელაძე, მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით დ. ადეიშვილი, კულტურის ცენტრალური სახლის დირექტორი ი. გოზალიშვილი და სხვ.

პოეტმა მადლობა გადაუხადა დამსწრეებს გულთბილი შეხვედრისათვის და წაიკითხა თავისი ლექსები.

## ავეჯი სკოლებს

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიდაქტიკურ ხელსაწყოთა წარმოებამ დიდი რაოდენობით გამოუშვა სასკოლო დოკუმენტაციის მასალები — აკადემიური წარმატებისა და საკლასო ჟურნალები, მოსწავლეთა პირადი საქმეები და დღიურები, კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობები, სასკოლო აღრიცხვის წიგნები და სხვ.

წარმოება ამზადებს აგრეთვე სასკოლო ინვენტარს — მერხებს, საკლასო დფებს, წიგნის კარადებს, მასწავლებლთა მაგიდებს. სასწავლო წლისათვის სკოლებს გადაეცემათ 1.300 ცალი მერხი, 700 დფა, 110 წიგნის კარადა და სხვ.

## მშობელთა დასახმარებლად

26 კომისარის რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკასთან არსებობს სოციალურ-უფლებრივი კაბინეტი, რომელიც ხელს უწყობს ღონისძიებათა განხორციელებას საბჭოთა ოჯახის, დედისა და ბავშვის დაცვის საქმეში, მოსახლეობაში ეწევა საბჭოთა საოჯახო სამართლის პროპაგანდას.

კაბინეტმა მოაწყო ბევრი მოხსენება საბჭოთა ოჯახის განმტკიცების საკითხებზე. ჩატარდა ოთხი უბნის მშობელთა კონფერენცია, რომელზეც მოხსენებები წაიკითხეს პედიატრმა ექიმებმა აეტტისოვამ, შოშიაშვილმა, ფრეიდინამ, აბულაძემ და აფხაიძემ. კონფერენციაზე გამოვიდნენ მშობლები.

## ახალი ამბები

### სსრ კავშირისა და „დინამოს“ პირველობა კალათბურთში

მიმდინარე სასპორტო სეზონში თბილისის სტადიონებსა და სასპორტო ბაზებზე მრავალი საინტერესო ასპარეზობა ეწყობა. მალე თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე დაიწყება სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 16 გუნდი, მათ შორის მოსკოვის, თბილისის და სხვა ქალაქების კალათბურთელთა უძლიერესი კოლექტივები. ჩემპიონატი გაგრძელდება 19-დან 25 ივლისამდე.

* * *

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს კალათბურთის სექციის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის 1953 წლის პირველობის გათამაშება კალათბურთში დანიშნულია თბილისში 5-დან 20 სექტემბრამდე.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

### თბილისის „დინამოს“ დამარცხება

**30 ივნისი.** ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები. გამარჯვეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 2 : 1.

„ბ“ კლასი

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გრძელდება „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა საბჭოთა კავშირის პირველობაზე. მეორე და მესამე ქვეჯგუფებში პირველი წრის კალენდარული შეხვედრები დამთავრდა, პირველ ქვეჯგუფში ჩასატარებელი დარჩა ორი შეხვედრა.

უკანასკნელ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (ალმა-ატა) — „ისკრა“ (ფრუნზე) 4 : 0, ქ. ლენინაბადი — „სპარტაკი“ (აშხაბადი) 1 : 2, „კალევი“ (ტალინი) — „კრასნოე ზნამია“ (ივანოვო) 1 : 0, „კრასნაია ზვეზდა“ (პეტროზავოდსკი) — „მეტალურგი“ (ოდესა) 1 : 1, „ზენიტი“ (მოსკოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 0 : 0, „სპარტაკი“ (კალინინი) — „ბურევესტნიკი“ (კიშინიოვი) 3 : 0.

პირველ ქვეჯგუფში პირველ ადგილზეა ერევნის „დინამო“ (6 თამაშიდან 12 ქულა), მეორეზე — თბილისის „სპარტაკი“ (6 თამაშიდან 10 ქულა), მესამეზე — დონის როსტოვის „ტრაქტორი“ (7 თამაშიდან 9 ქულა).

მეორე ქვეჯგუფში პირველი ადგილი პირველ წრეში დაიკავა მინსკის „დინამომ“, მეორე — რიგის „დაუგავამ“; მესამე ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა სტალინის „შახტიორი“, მეორეზე — ზაპოროჟიეს „მეტალურგი“.

## ჭადრაკი

ჭადრაკში საქართველოს 1953 წლის ჩემპიონის გამოსაკვლევლად გამართული ა. ბლაგიძისა და ა. ბუსლაევის მატჩის მესამე პარტია, რომელიც 29 ივნისს ამერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში გათამაშდა, სვლების გამეორებით 24-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, 30 ივნისამდე ჩატარებული სამი პარტიის შემდეგ წინ არის ოსტატობის კანდიდატი ა. ბლაგიძე, რომელსაც 2 ქულა აქვს.

**რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.**


**სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროს ბოლოჯომის სატყეო ტექნიკუმი 1953-54 სასწავლო წლისათვის აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას ქართულ სექტორზე სატყეო-სამეურნეო სპეციალობის პირველ კურსზე,** სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-30 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის სრული კურსი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს: 1. სსრ კავშირის კონსტიტუციაში, 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 3 რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), 4. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

**შენიშვნა:** 1952 და 1953 წლებში 8-კლასდამთავრებული ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ, ბ) საშუალო სკოლის 9-10 კლასის მოსწავლეები ტექნიკუმში მიიღებიან საერთო წესით.

განცხადებების მიღება იწარმოებს 31 ივლისამდე. განცხადება შეტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე და თან დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ.), 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ და 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. ტექნიკუმში შესვლის მსურველებმა განცხადების შემოტანისას პირადად უნდა წარადგინონ პასპორტი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე ტექნიკუმის შენობაში.

ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო ბინით, გათბობით, განათებით, სტიპენდიით (საერთო წესით) და სათანადო საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულ ფრიადოსნებს უფლება ეძლევათ მათი სპეციალობის მიხედვით უგამოცდოდ შეიდნენ უმაღლეს სასწავლებელში.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

მისამართი: ქ. ბორჯომი, ინტერნაციონალის ქ. № 30, ტელეფონი № 2-43.

**ბორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი** აცხადებს, **რომ 1953-54 სასწავლო წლისათვის მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. ენისა და ლიტერატურის:** ა) ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა, ბ) რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა. **2. ისტორიის, 3. გეოგრაფიის, 4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, 5. ფიზიკა-მათემატიკის:** ა) ფიზიკის სპეციალობა, ბ) მათემატიკის სპეციალობა. **6. ბუნებისმეტყველების.**

ინსტიტუტში მიიღებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, საშუალო განათლების მქონენი.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე ჩათვლით. მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოს.

ინსტიტუტში უგამოცდოდ მიიღებიან: ა) საშუალო სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები, ბ) პედსასწავლებელ დამთავრებული ფრიადოსნები, რომლებიც მოხვდნენ 5% გამოშვებაში.

ყველა დანარჩენი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული აბარებს მისაღებ გამოცდებს.

ინსტიტუტში შესვლელმა განცხადება უნდა შეიტანოს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ავტობიოგრაფია, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ.), ცნობა, სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (საჭიროა სამხედროვალდებულთათვის), პასპორტი (წარდგენილ უნდა იქნას პირადად).

ინსტიტუტში ჩარიცხულნი საერთო წესით უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიითა და საერთო საცხოვრებლით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. გორი, ჭავჭავ